

რეგისტრირებულია ცვლილებებით
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

2014 წლის 16 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთან გადასყვეტილზე



მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების

„ქართული დასი“

წესდება

(ცვლილებებით)

თბილისი

2014 წელი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების

„ქართული დასი“

წესდება

1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“ (შემდგომში – პარტია) წარმოადგენს მოქალაქეთა ნებაყოფლობით პოლიტიკურ გაერთიანებას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს;
- 1.2 პარტია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის, ამ წესდების საფუძველზე, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად;
- 1.3 პარტიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვლ. გაბაშვილის ქუჩა №1, I სადარბაზო, V სართული, ბინა 13.

2. პარტიის მიზნები (ამოცანები) და მათი განხორციელების ფორმები

- 2.1 პარტიის მიზნებია (ამოცანებია) კანონით დადგენილი წესით:
 - 2.2.1 ერთიანი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, პატრიოტიზმის, ეროვნული მსოფლმხედველობის და იდეალების დამკვიდრება, ეთნიკური, კონფესიური, კულტურული და ტრადიციული თვითმყოფადობის შენარჩუნება;
 - 2.2.2 დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება და განვითარება სახელმწიფო მმართველობაში, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულების თვითმმართველობა;
 - 2.2.3 კერძო საკუთრების დაცვა, სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის კერძო ავტონომია, სიტყვის თავისუფლება;
 - 2.2.4 ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;
 - 2.2.5 სიღარიბის დაძლევა, უღარიბესი ფენისთვის სოციალური პროგრამების განხორციელება;
 - 2.2.6 ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ინტეგრაცია საერთაშორისო სტრუქტურებში. სახელმწიფო აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობა.

2.2 აღნიშნული მიზნების (ამოცანების) განხორციელება პარტიის მიერ წარმოებს ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსვლის, კონსტიტუციური – მშვიდობიანი და სამართლებრივი პოლიტიკური საშუალებებით.

3. პარტიის სიმბოლიკის აღწერილობა

3.1 პარტიის დროშა არის მართკუთხა ფორმის, წითელი ფერის, რომლის ცენტრშიც გამოსახულია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული დასი“ ემბლემა;

3.2 პარტიის ემბლემას წარმოადგენს წითელ ფონზე გამოსახული თეთრი ბოლნური ჯვარი, რომლის ირგვლივ წრეზე განლაგებულია თორმეტი თეთრი ფერის, რვაქიმიანი ვარსკვლავი, როგორც მარადისობის სიმბოლო;

3.3 პარტიის ბეჭედი არის მრგვალი ფორმის, რომლის წრეზე ირგვლივ ქართულ და ინგლისურ ენებზე აღნიშნულია წარწერა „ქართული დასი“, ბეჭდის შუაში მოთავსებულია პარტიის ემბლემა.

4. პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა

4.1. პარტიის ყრილობა

4.1.1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა პარტიის ყრილობა, რომელიც მოიწვევა არანაკლებ ოთხ წელიწადში ერთხელ;

4.1.2. პარტიის რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა:

- ა) დიდი საბჭოს 2/3 – ის გადაწყვეტილებით;
- ბ) პოლიტსაბჭოს 2/3 – ის გადაწყვეტილებით;
- გ) პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

4.1.3. პარტიის ყრილობის დელეგატები არიან:

- ა) პოლიტიკური საბჭოს წევრები;
- ბ) პარლამენტის და ყველა დონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საკრებულოს წევრები, რომლებიც იმავდროულად არიან პარტიის წევრები;
- გ) პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების თავმჯდომარეები;
- დ) პოლიტიკური საბჭოს მიერ დადგენილი კვოტებით არჩეული დელეგატები (ისე, რომ აირჩეს არანაკლებ ორასი დელეგატისა).

- 4.1.4. ცნობა ყრილობის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ყრილობამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, დღის წესრიგის მითითებით;
- 4.1.5. ყრილობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც პარტიის უფლებამოსილებას განეკუთვნება;
- 4.1.6. ყრილობის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა პარტიის წესდების მიღება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა, პარტიის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების არჩევა, პარტიის რეორგანიზაციის და თვითლიკვიდაციის საკითხების გადაწყვეტა;
- 4.1.7. პარტიის ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
- 4.1.8. ყრილობის გადაწყვეტილებები ცალკეულ პირთა არჩევის შესახებ მიიღება ღია კენჭისყრით;
- 4.1.9. პარტია ქმნის ფრაქციებს საქართველოს პარლამენტში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, კანონით დადგენილი წესით.

4.2. დიდი საბჭო

- 4.2.1. დიდი საბჭო არის პარტიის თავმჯდომარესთან არსებული საკონსულტაციო – სათათბირო ორგანო, რომელიც შედგება პოლიტიკური გაერთიანების პოლიტსაბჭოს წევრებისაგან, რეგიონალური, საქალაქო და სხვა ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისაგან. დიდი საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს პარტიის თავმჯდომარე.
- 4.2.2. დიდი საბჭოს სხდომა ინიშნება თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ან პოლიტსაბჭოს 2/3 წევრთა მოწვევით. სხდომის დღის წესრიგს თავმჯდომარის წარდგენით ამტკიცებს პოლიტსაბჭო.

4.3. პოლიტიკური საბჭო

- 4.3.1. პოლიტიკური საბჭო არის პარტიის აღმასრულებელი ორგანო და შედგება არანაკლებ 5 (ხუთი) წევრისაგან. პოლიტიკურ საბჭოს ირჩევს ყრილობა ოთხი წლის ვადით;
- 4.3.2. პოლიტიკური საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელების უფლება აქვს პარტიის თავმჯდომარეს;

- 4.3.3. პოლიტიკური საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პოლიტიკურ საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი;
- 4.3.4. პოლიტიკური საბჭო უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;
- 4.3.5. პოლიტიკური საბჭო გაწეული მუშაობის ანგარიშს წარუდგენს ყრილობას;
- 4.3.6. პოლიტიკური საბჭოს სხდომები მოიწვევა პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აგრეთვე, პოლიტიკური საბჭოს არანაკლებ სამი წევრის წერილობითი მოთხოვნით;
- 4.3.7. პოლიტიკური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია კენჭისყრით ხმათა უბრალო უმრავლესობით.

4.4. სარევიზიო კომისია

- 4.4.1. პარტიის მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია, რომელსაც ირჩევს ყრილობა ოთხი წლის ვადით;
- 4.4.2. სარევიზიო კომისია შედგება სამი წევრისგან;
- 4.4.3. სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატებს ასახელებს პარტიის თავმჯდომარე;
- 4.4.4. სარევიზიო კომისია ამოწმებს პარტიის საფინანსო – საბუღალტრო საქმიანობას;
- 4.4.5. სარევიზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი;
- 4.4.6. სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;
- 4.4.7. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე;
- 4.4.8. სარევიზიო კომისია თავის შემადგენლობიდან ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს.

4.5. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფები

- 4.5.1. პარტიას უფლება აქვს შექმნას სტრუქტურული ქვედანაყოფები (ფილიალი, წარმომადგენლობა, სამხარეო ბიურო, საქალაქო ან რაიონული კომიტეტები, ძირეული ორგანიზაციები, ახალგაზრდული ორგანიზაცია და სხვა) იურიდიული პირის უფლების გარეშე;
- 4.5.2. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტიის პოლიტიკური საბჭო;

4.5.3. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნის, მართვისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება პოლიტიკური საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულების საფუძველზე.

5. პარტიის წევრად მიღების და წევრობის შეწყვეტის წესი და პირობები

- 5.1. პარტიის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც აღიარებს პარტიის წესდებას და არ არის სხვა პარტიის წევრი;
- 5.2. პარტიის წევრად მიღება ხდება ნებაყოფლობით, განცხადების საფუძველზე. პარტიის წევრის მიღების საკითხს წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების თავმჯდომარე, პოლიტიკური საბჭო ან ქვემდებარეობით რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მოწმობას გასცემს პარტიის თავმჯდომარე;
- 5.3. პარტიის წევრის მიღება ხდება პარტიის თავმჯდომარის ბრძანებით;
- 5.4. საწევრო შენატანების გადახდის წესს და ოდენობას ადგენს პოლიტიკური საბჭო;
- 5.5. პარტიის წევრს უფლება აქვს:
 - 5.5.1. წინადადებით მიმართოს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს და მონაწილეობა მიიღოს ამ წინადადების განხილვაში;
 - 5.5.2. დატოვოს პარტიის რიგები განცხადებით;
 - 5.5.3. პარტიის წევრი ვალდებულია განუხრელად დაიცვას პარტიის წესდება და არ ჩაიდინოს ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის ინტერესებს;
- 5.6. პოლიტიკური საბჭო უფლებამოსილია გარიცხოს პარტიის წევრი, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება პარტიის ინტერესებს;
- 5.7. პარტიის წევრის გარიცხვის უფლება აქვს ქვემდებარეობით რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რაც უნდა ეცნობოს პოლიტიკურ საბჭოს;
- 5.8. პოლიტიკური საბჭოს წევრის ან ცენტრალური აპარატის წევრის გარიცხვის უფლება აქვს მხოლოდ პოლიტიკურ საბჭოს;
- 5.9. პარტიის წევრობიდან გასვლა თავისუფალია.

6. პარტიის თავმჯდომარე

- 6.1. პარტიას და . მის ორგანოებს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარტიის ყრილობა ოთხი წლის ვადით. პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატს ასახელებს ყრილობის არანაკლებ ორმოცდაათი დელეგატი;
- 6.2. პარტიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება პარტიის თავმჯდომარეს;
 - 6.2.1. პოლიტიკური გაერთიანების თავმჯდომარე მოადგილეების რანგში ნიშნავს და ათავისუფლებს პარტიის გენერალურ მდივანს, პოლიტიკურ მდივანს, აღმასრულებელ მდივანს, საგარეო ურთიერთობათა და საზოგადოებასთან ურთიერთობათა მდივანს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხარეო ბიუროს თავმჯდომარეს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხარეო ბიუროს თავმჯდომარეს და რეგიონალური, სამხარეო ბიუროების თავმჯდომარეებს;
 - 6.2.2. პოლიტიკური გაერთიანების თავმჯდომარე ასევე ნიშნავს და ათავისუფლებს საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებს სამხარეო ბიუროების ხელმძღვანელების წარდგინებით;
 - 6.2.3. პოლიტიკური საბჭოს წევრთა შორის ხმათა გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

7. პარტიის მონაწილეობა არჩევნებში

- 7.1. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს ათი რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ან/და პოლიტიკურ საბჭოს;
- 7.2. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევა შეუძლია ყრილობას;
- 7.3. პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევნებში ყრილობის დელეგატს აქვს ერთი ხმა;
- 7.4. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მერის, გამგებლის და საკრებულოს წევრობის კანდიდატებს ასახელებს პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი;
- 7.5. პარლამენტის წევრობის კანდიდატები პარტიული სიით არიან პოლიტიკური საბჭოს წევრები და პარტიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილი სხვა პირები. რიგითობას პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო.

8. პარტიის ქონების შექმნის საკითხები და მისი გამოყენების წესი

8.1. პარტიის ქონებას ქმნის:

8.1.1. საწევრო შენატანები;

8.1.2. კანონით დადგენილი შემოწირულობები;

8.1.3. კანონით დადგენილ შემთხვევებში – სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები;

8.1.4. პარტიის სიმბოლიკის დამზადებით და გავრცელებით, პარტიის მიერ ლექციების, გამოფენების და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე, საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე, საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული თანხები, რომლებიც არ ცვლის პარტიის, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;

8.1.5. საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულობები;

8.2. პარტიის ქონება გამოიყენება პარტიის მიზნების და ამოცანების შესაბამისად, პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით.

9. პარტიის საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები (რეორგანიზაციის და თვითლიკვიდაციის წესები)

9.1. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა ხდება რეორგანიზაციით ან თვითლიკვიდაციით. რეორგანიზაციის და თვითლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ყრილობა. რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის წესი დგინდება ყრილობის მიერ კანონით დადგენილი წესით;

9.2. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

10. გარდამავალი დებულებანი

10.1. ეს წესდება ძალაშია მიღების და კანონით დადგენილი წესით პარტიის რეგისტრაციის შემდეგ;

10.2. პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა არანაკლებ ორმოცდაათკაციან ჯგუფს.